ცნობის ფურცელი

№ 2000 | კვირა, 1 დეკემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2000

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-71 №-რი.

თავადი დავით და ილია ზაქარიას ძენი მელიქიშვილები და კნეინა მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ დედის

კნეინა მარიამ ზაქარიას ასულის მელიქიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, 8 საათზე საღამოს. კოჯრის ქ. № 7. გამოასვენებენ კვირას, 1 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ვანქის სობოროში. დაკრძალვა დიდუბის ეკკლესიის გალავანში.

(3—463—2)

„ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ ხელის მომწერთ **1903** წლის დამდეგს პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქნება. სურათი გაეგზავნებათ აგრეთვე **მარტო „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ.** ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მანეთი 50 კაპ. ეღირება.

წარმოდგენა 19. ტელეფონი 617

✡ **იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✡

ქართული თეატრი

კვირას, 1 დეკემბერს, 1902 წელს

◆ მერვე **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბ. ქუჯის მონაწილეობით

◆ **დაკლებულის ფასებით** ◆

I

პატარა კახი

ისტორ. დრამა 5 მოქმ. თავ. აკაკი წერეთლისა.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, რომანიშვილი, რკინელი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ-დან 8 მ-მდე, პარტერი 50 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მანეთამდე, გალერეა 20 კ-დან 35 კ-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„გრიგალი“, „ფარჩიული“.** (ვ. აბაშიძის საბენეფისოდ) **„დინია“ „ხიმი-ხიმარი“.**

ცხინვალელ დაზარალეაულთა სასარგებლოდ შემოწირულების შემკრები კომიტეტი აცხადებს.

რადგანაც კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებულნი, რომელთა გაჭირვება ზამთრის დადგომისა გამო დღითი-დღე ძლიერდება, აზრადა აქვს 18 იანვარს 1903 წელს გამართოს ტფილისში საქველ-მოქმედო **ამერიკული ბაზარი საკონცერტო განყოფილებით.**

იმათ, ვისაც ჰსურს ფულად ან ნივთებით დახმარება, კეთილ-ინებონ და შეწირულებანი გაჰგზავნონ ერთ-ერთ ამ ადრესით:

საღამოს გამმართველს კნ. მ. თუმანოვისას (ბარიათინსკის ქუჩა, № 8), კომიტეტის წევრს ა. შტრეიხმრს (გოლოვინის პროსპ. დობრიანსკის ს.) „ნოვოე ობოზ.“-ს რედაქციას (ბარიათინსკ. ქ.) და „ტფილისის ლისტოკის“ რედ. (გოლოვინის პროსპ. № 3).

(3—მ.—1)

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

ოჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სალო კრუჟოკის პირდაპირ. (45—28)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ფელეტონი

ჟულიას წერილი

ბაირონის „დონ-ჟუანიდან“

მიდიხარ შენა; ოხ! მე ეს მტანჯავს...
შენზედ უფლება არა მექნება,
გულის სახმილი ვერ დამიმალავს,
მე მსხვერპლად ვრჩები, არ მეწყინება:
სიამოვნებით გავიწირავ თავს,
თუ სიყვარული ცოდვად მეთვლება.
ნუ ეძებ ნახო აქ ცრემლთა კვალი:
ცრემლები უკვე მთლად მაქვს გამშრალი.

მე შენ მიყვარდი, ამას ეხლაც ვგრძნობ,
მას მე შევწირე ბედნიერება;
არ გეგონოს კი, რომ წარსულს ვნანობ,
იგი მატკბობს ვით ტკბილი ზმანება.
დანაშაულს ვგრძნობ, თავს არ ვმართლულობ,
ქვეყნის გმობისა არ მერიდება.
მე შენ არ გადებ არავითარ ბრალს,
გწერ ამ სტრიქონებს შორს, შორს მიმავალს.

კაცს სიყვარული ერთს წამსა ატკბობს,
ქალი კი მისი მთლად მონა ხდება;
კაცს ფარი, ხმალი და ომი ართობს,
დიდებაა მის სულის კვეთება,
იმათ შექხარის, მათზედ ოცნებობს,
მათ მიმზიდველ ძალას ვერ უმაგრდება.
ქალს კი რა რჩება? კვლავ სიყვარული,
ვიდრე მის მსხვერპლი არ ხდება კრული.

შენთვის ოთხ-კუთხივ გზა ხსნილი არი:
არ მოაკლდება ადერსი ტკბილი;
მე კი დამეხშო სიამის კარი,
მრავალს წელს უნდა ვზიდო სირცხვილი.
ტანჯვას გავუძლებ, ძნელი არ არის,
მაგრამ ვერ ვძლევ ტრფობის სახმილი.
მშვიდობით! აწ გთხოვ ნუ დამივიწყებ,
მაგრამ ამაოდ, ვერ შეასრულებ.

ეხლაც არ ძალმიძს ვებრძოლო ჩემს გულს:
ფიქრი დამშვიდდა, სისხლი მღელვარებს;
ესრედ ტალღებსაც ვხედავთ აზვირთულს,
რის ქარი დგება, ადარ მძვინვარებს.
ვით ქალი მე ვერ ვივიწყებ წარსულს,
ერთს სახეს შევტრფი, ის მანეტარებს.
ესრედ კომპასიც თუმც თრთის, არ დგება,
მაინც ჩრდილოეთს არა შორდება.

მოვრჩი. სათქმელი თუმც ადარა მაქვს,
არ მეთმობა კი მაინც წერილი!
უბედურება სხვას არავის ჰქლავს,
თორემ აქამდინ რად ვარ ცოცხალი.
სიკვდილიც თითქო მას არიდებს თავს,
ვისაც სურს მოხვდეს მის ხელი მსახრვალი.
ვიდრემდინ ჩემი გული სძგერს—ვფიცავ,—
შენ მეყვარები, შენთვის ვილოცავ!

ი. ზაქრაძე

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. პარიზის ოლქის რესპუბლიკელ სოციალისტების კომიტეტებმა თავიანთ დეპუტატის მილიერანის პატივ-საცემლად ამ დღეებში ნადიმი გამართეს. მილიერანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა და მუშების პარტიას ურჩია, პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც შეიძლება, მეტი მონაწილეობა მიიღეთო. მილიერანმა სთქვა:

„მუშების პარტია რომ პასუხის-გებას მოერიდოს და მოვალეობა თავიდან მოიშოროს,—ეს იქმნება თავისს უარ-ყოფა, ეს იქმნება ლალატის მსგავსი სისუსტე. მუშების პარტიის მოვალეობაა—უფრო და უფრო საორგანიზაციო პარტიად იქცეს და სოციალისტების დოქტრინა ცარიელ ფორმულიდან ნამდვილ საქმედ გადააქციოს. ყოველ შემთხვევაში, პარტიას თავისის აზრებისა არ უნდა ეშინოდეს. ასე, მაგალითად, თუ სოციალისტების პარტია თავისს თავს თითონვე უწლოვანოდა სთვლის, თუ თითონვე ერიდება მოქმედებასა და მოვალეობას და იმით კმაყოფილდება, რომ მარტო სხვა პარტიებს უწევს დახმარებას—თუ სოციალისტების პარტია ამისთანა როლს დასჯერდება, მაშინ გაბედულადაც უნდა აღიაროს ყოველივე ესა. თუ კი ყოველს გარემოებას ზიზღით უყურებს, პირ-და-პირ წინ იყურება და უშიშრად მოვალეობასა და პასუხის გებასაც ჰკისრულობს, რომ საერთო საქმეში მონაწილეობა მიიღოს, თუ მარტო დამრიგებლისა და კრიტიკის როლს არ დასჯერდება და საერთო შრომასა და მოქმედებაში წილს დაიდებს,—ამ შემთხვევაშიაც საჭიროა ისევ ისე ხმა მაღლა და გულ-ახდილად აღიაროს თავისი აზრები. მუშების პარტიის მომავალ კონგრესის დროს შეძლება მოგეცემათ ამ ორ მეტოდში საბოლოოდ ერთ-ერთი აირჩიოთ. და თუ, როგორც იმედი მაქვს, მუშების პარტიამ კიდეც აირჩია ერთ-ერთი მეტოდი და მოქმედება ინდომა და პასუხის-გებაც იკისრა, რადგანაც პასუხის-გება და მოქმედება განუყრელნი არიან-მაშინ მუშების პარტია მოახერხებს, რომ თუ, ორია საქმედ გადააქციოს და თავისი რეფორმატორული მეტოდი ბოლომდე შეასრულოს“.

◆ მინისტრების საბჭოს უკანასკნელ სხდომის დროს კომბმა გამოუცხადა თავისს ამხანაგებს, ადმირალ რუვიესა და მარსელის პრეფექტის მეცადინეობით, გაფიცულ მეზღვაურებსა და გემების პატრონებს მოკლე ხანში ალბად დაიყოლიებენ, ერთმანეთთან მოლაპარაკება გამართონ თავიანთ დავის გადასაწყვეტადაო.

◆ რადგან ახლად არჩეულ სამუდამო კომისიებში მეტად ცოტა მოჰყვა ოპოზიციის წევრთაგანი, ამიტომ პარლამენტის „ლიბერალურ მოქმედების“ ჯგუფმა—80 წევრი ჰყავს—გადასწყვიტა, თითონაც კერძო კომისიები აარჩიოს კანონ პროექტის შესასწავლად.

ინგლისი. ლორდთა პალატამ პირველ წაკითხვის შემდეგ კიდეც მიიღო სასკოლო ბილი და წარსულ ხუთშაბათს ლორდები ბილის მეორედ წაკითხვას შეუდგნენ. ბილის განხილვას თურმე მეტად ცოტა ხალხი ესწრობა: კონსერვატორი ლორდებიც აკლდებიან სხდომებს, მაგრამ არც თუ ლიბერალი ლორდები დაიარებიან რიგზე. ამბობდნენ, ლორდ სოლსბერიც მიიღებს მონაწილეობას კამათშიო, მაგრამ პირველ მინისტრად ნამყოფს ჯერ სულაც არ გაუვლია ლორდთა პალატაში.

◆ წარსულ ხუთშაბათს ლონდონში ქველმოქმედ მოღვაწეთა წლიური კრება მოხდა. ეს მოღვაწეები ლონდონელ ღარიბებს უწევენ შემწეობასა და დახმარებას. კრების თავმჯდომარემ შო-ლეფევრმა აღნიშნა, ინგლისში ამ ბოლოს დროს პაუპერიზმი მეტის-მეტად ძლიერდებაო. წინათ იმათი რიცხვი, ვისაც საზოგადო შემწეობა ეძლევათ, ყოველს წელს კლებულობდაო, უკანასკნელ რამდენისამე წლის განმავლობაში-კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთო. ყველაზე ძლიერ პაუპერიზმი ლონდონში მატულობსო. ამასთანავე მაწანწალა ხალხის რიცხვიც ძლიერ

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ადამიანის ენა და ეროვნება.—ბ. ტფილისელის ტენდენციები.— „ნამდვილის მეგობრის“ წერილის გამო.

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ჩვენში პიროვნებას, ადამიანობას არავითარი პატივის-ცემა არა აქვს. ხშირად კერძო ინტერესებისა და საქმეების გამო საჯაროდ მიწასთან ასწორებენ კაცს და ჭუჭყიანის ხელით ჰბღალავენ იმის წმიდათა წმიდას. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ამ გვარმა კერძოობამ ამ ბოლოს დროს უფრო იმატა და უფრო ძლიერად იჩინა თავი. რაღა თქმა უნდა, ასეთ ვაჟბატონებთან არავითარი კამათი არ შეიძლება... ჩვენ მხოლოდ გვაკვირვებს, რას ჰფიქრობენ ის პირები, რომელთაც დიდი ხანია სახელი და პატივისცემა მოუხვეჭიათ საზოგადოებაში, რომლებიც არავითარს პროტესტს არ აცხადებენ ასეთის საქციელის წინააღმდეგ, თითქმის ყურადღებას არ აქცევენ და იმავე გაზეთში ლანძღვისა და დაბეზღების წერილების გვერდში ჰბეჭდვენ წერილებს და ისეთ მაღალ საგნებზე, როგორიც არის ერი და სამშობლო ენა! ესმისთ ამ პატივცემულ პირებს, რას გვიქადაგებენ? ქართულს ენას ეთაყვანებიან და იცავენ, რისთვის? რის მაქნისია ენა ან ეროვნება, როდესაც არავითარი პატივისცემა არა აქვთ ადამიანისადმი? ვის რად უნდა ეს დედა ენა, თუ მის უწმინდეს გრძნობასაც-კი შელახავენ, სისხლს გამოსწურავენ და სიცოცხლეს მოუწამლავენ? მე ქართველი ვარო, მითხრას ვინმემ და თუმცა უზნეოდ და უსამართლოდ მექცეოდეს, მაინც ხმა არ ამოვიღო მის წინააღმდეგ?

არა, ათასჯერ არა, ბატონებო! ჯერ პატივისცემა ადამიანის ღირსებისადმი და მერე ენა და ეროვნება!

ენას უნდა ვიცავდეთ მხოლოდ ადამიანის პატივისცემისათვის, თქვენ-კი იცავთ ენას და ყურადღებას არ აქცევთ ადამიანის პიროვნების უარყოფას და მის ღირსების ფეხით გათელვას?!.

* *

ბევრი მავნე წერილი იბეჭდება, ბევრი სამწუხარო ამბავი ხდება ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ბ. ტფილისელის „თავად-აზნაურობას ვითარება და გავლენა“-მ ყველას გადააჭარბა. ჩვენს მწერლობას ჯერ არ უნახავს ასეთი წერილი, ასეთი ქებათა-ქება თავად-აზნაურობისა, ასეთი დამახინჯება ფაქტების, ასეთი დაბრმავება დღევანდელის ვითარების უდიადესის მოვლენების წინაშე, ასეთი დამცირება გლეხობისა და უარყოფა ყოველის საზოგადოებრივ გრძნობისა და სამსახურის იმ

იზრდებაო; წარსულ წელს ამ რიცხვს 20% მოემატა, თკანასკნელ ათის წლის განმავლობაში კი 100%-იც მოემატაო. ამავე დროს ბოროტ-მოქმედებაც მატულობს და ლოთობაც ძლიერდება. შო-ლეფევრის აზრით ამ მოვლენას მჭიდრო კავშირი აქვს უსაქმო ხალხის გამრავლებასა და გადასახადთა ტვირთის გადიდებასთან. გადასახადების მომატებამ ხომ სწორედ საქმე გაუჭირა ღარიბ ხალხსაო. დასასრულ ორატორმა ურჩია კრებას, დიდი ყურადღება მიაქციეთ პაუპერიზმის გაძლიერებასაო.

ავსტრო-უნგრეთი. 29 ნოემბერს, ვენაში: „ბალკანელთა კონგრესი“ უნდა მომხდარიყო ავსტრიის დედა-ქალაქში მაკედონელებისა, ალბანელებისა, სერბებისა, სომხებისა და ახალ-გაზრდა ოსმალების წარმომადგენელნი უნდა შიყრილიყვნენ. ამის თაობაზე „ბერლ. ტაგ.“-ის ვენელი კორესპონდენტი იწერება, ავსტრიის მთავრობას არავითარი ურთი-ერთობა არა აქვს ამ კონგრესთანაო და, თუ ვინიცობაა კონგრესის წევრებმა ქუჩაში რაიმე დემონსტრაციების გამართვა მოინდომეს, პოლიცია დაუყოვნებლივ გააჩერებსო.

✦ როგორც ვიცით, ბოჰემიის გერმანელმა დეპუტატებმა ეროვნულ შეთანხმების პროგრამა შეადგინეს. ეს პროგრამა გერმანელების პარტიებმა ყველამ მოიწონეს და ჩეხებს გადასცეს განსახილველად. ეხლა ჩეხებსაც კეთილის თვალით შეუხედნიათ ან პროგრამისათვის, მაგრამ მაინც გამოუცხადებიათ, ჩვენს საკუთარს პროგრამას შევადგენთო. ამას გარდა, გერმანელების პროგრამა სილეზიისა და მორავიის გერმანელ დეპუტატებსაც არ მოსწონებიათ. ამათ მანიფესტი გამოუციათ და გამოუცხადებიათ, გერმანელების პროგრამა სრულობით არ გამოდგება სილეზიისა და მორავიისაო.

იტალია. მთავრობის კანონ-პროექტი ცოლ-ქმართ განქორწინების შესახებ პალატის ბიუროებს წარუდგინეს განსახილველად. სულ 9 ბიუროა, ამათგან 5-ს არ მოსწონებია კანონ-პროექტი. გადასახადთა შემცირების კანონ-პროექტი კი 8 ბიუროს მოსწონებია. ამბობენ, მთავრობა მაინც არ შეუშინდება ბიუროების დადგენილებას და ცოლ-ქმართ გაყრის კანონ პროექტზე ხელს არ აიღებსო. „ტრიბუნა“ აცხადებს: ბრძოლა ეს არის იწყება. სამინისტროს არ შეუძლია, ბაირაღი აამაღლოს, მერე ოდნავ გაშალოს და ისევ ხელად დაჰკეცოს“. გაზეთი შეჰნიშნავს, რომ ბიუროების კომისარების არჩევანში 200 დეპუტატსაც არ მიუღია მონაწილეობა, როდესაც ყველა ხალხის წარმომადგენელთა რიცხვი ხუთასს აღემატებაო. ამ პროექტის ბედი მარტო პალატის სხდომაში ხანგრძლივ კამათის შემდეგ გადასწყდებაო·

* * *

ახალი ამბავი

✦ დღეს **ბათომში დამატებითი არჩევანი** უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. ასარჩევი ჰყავთ კიდევ 17 ხმოსანი და ამათი 9 კანდიდატი.

✦ **სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობის კვლევა-ძიება** მომავალ წელსაც იქმნება იმ გუბერნიებში, სადაც მომრიგებელი შუამავლები არიან. ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში, სადაც ეს კვლევა-ძიება წელსაც იყო, მომავალშიაც განაგრძობენ.

✦ **ცხინვალში ცეცხლისაგან დაზარალებულთა** დამხმარებელი კომიტეტი იმის ცდაშია ამ ჟამად, რომ დაზარალებულთათვის შესაწევარი ფული შეაგროვოს, რადგან შეგროვილის ფულიდან იმდენი-ღა თუ დარჩა კომიტეტს, რომ მარტამდე გამოჰკვებოს დაზარალებულნი, რომელთა რიცხვი 125 ოჯახია მრავალის ბავშვებითა; არც თბილი ტანსაცმელი და ბევრს არც საჭმელი არ მოეძევება. ამ ბოლო დროს შესაწირავის შემოსვლა შეწყვეტილა თურმე. ამიტომ კომიტეტს განუზრახავს იანვარში საქველმოქმედო საღამო გამართოს ტფილისში და რვაას სულამდე გაჭირვებულთ ცოტა საშველება მოუპოვოს.

✦ ქალაქის ექიმებს დაუთვალიერებიათ **ქალაქის სკოლათა სადგომები** და ნახულის ანგარიში სასანიტარო ინსპექტორისათვის წარუდგენიათ. ამ საქმეში ერთი რამ არის აღსანიშნავი. სკოლებისათვის სახლების დასაქირავებლად ქალაქი მუდამ წელიწადს ორი ათას თუმნამდე ქირის ფულს იხდის და სახლი არ არის, რომ 90 თუმანზე ნაკლებს იხდიდეს და ზოგის ფასიც 150 თუმნამდეც ადის. მერე რა აღმოუჩენია ექიმებს უმეტეს ნაწილ ამ სახლებში: თითქმის ყველანი გამოუდეგარია სკოლისათვის, რადგან სახლები ვიწრო, ბნელი და შეხუთულიაო; არც ერთს ცალკე ოთახი არ აქვს, რომ მოსწავლეთა გასინჯვა შეიძლოს ექიმმა. ქალაქი თუმცა საკმაოდ ბევრ შეშას აძლევს სკოლებს და ახურებენ კიდეც სახლს სკოლის გამგენი, მაგრამ სკოლა არაა—8⁰ მეტი სითბო იყოსო.

ქალაქის სკოლებს-კი ცალკე, ამ საქმისათვის განსაკუთრებით მიჩენილი, კომისია ჰყავს საბჭოს არჩეული. რაღა საქმე დარჩენია კომისიას, თუ სკოლებისათვის სადგომიც-კი ვერ მოუძებნიათ ხეირიანი.

✦ ქალაქის საბჭოს მდივანი ს. ქრელაშვილი მოხსენებას ამზადებს შესახებ იმისა, რომ **ქალაქმა თავისი საკუთარი სტამბა** გამართოს, რადგან ამ ბოლო დროს საკმაოდ ბევრი ფული ეხარჯება სხვა-და-სხვა სასტამბო საქმეებზე.

✦ **თავ. აკაკი წერეთელს განუზრახავს თავისი „თავგადასავლის“ გამოცემა.** როგორც აცხადებს, ეს თავ-გადასავალი რამდენსამე ტომად გამოვა. მსურველთ ამ თავითვე შეუძლიანთ დაიკვეთონ წიგნები. თავგადასავალში მოთავსებული იქმნება: 1) მოღვაწეთა წერილები: გაბრიელ ეპისკოპოსისა, დიმიტრი ყიფიანისა, ნ. ნიკოლაძისა, ივანე მაჩაბლისა და სხვათა; 2) ბიოგრაფიები საზოგადო მოღვაწეთა; 4) დაარსება ჩვენში ბანკებისა, წერა-კითხვის საზოგადოებისა, თეატრისა და სხვა; 4) ბატონ-ყმობის ამბები; 5) ძველებური ზნე-ჩვეულებანი; 6) მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღება; 7) საისტორიო ანეგდოტები და სხვანი.

✦ ტფილისის ხელოსანთა მოურავს უთხოვნია გუბერნატორისათვის, ნება მიეცით ხელოსანთა გამგეობას იმის თვალ-ყური დაიჭიროს, რომ ადგილობრივ **ქარხნებიდან ცუდი საქონელი არ გამოიტანონ ბაზარში.** ასეთი სათხოვარი იმას გამოუწვევია, რომ ამ ბოლო დროს, როგორც თვითონ მოურავი ამტკიცებს, უვარგისი საქონელი გამოდის აქაურ ქარხნებიდან.

✦ საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით მოხდენილმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ხელოსანთა გამგეობაშიაცა და ამქრებიც სავაჭრო დავთრებს ცუდად და უკანონოდაც აწარმოებდნენ თურმე. მთავრობამ განკარგულება მოახდინა, წიგნები კანონიერად აწარმოეთ მომავალშიო და აქამდე რომ ცუდად აწარმოებდნენ, ამისათვის საყვედური გამოეცხადათ. ამას გარდა, ხელოსანთა მოურავად ყოფილის სეროზიანცის უკანონო მოქმედების გამო საგუბერნიო მთავრობას არ უცვნია საჭიროდ პასუხის გებაში მიცემა, რადგან, მას აქეთ, რაც ეს უკანონობა ჩაიდინა, დიდი ხანი გავიდაო.

✦ როგორც ახალციხის მაზრის სოფელ არალიდან იუწყებიან, 20 ნოემბერს, ღამე ვიღაც ბოროტ განმზრახველთ **გაუტეხიათ ამ სოფელში ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესია** და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები. ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ ამავე მაზრის სოფელ წარბასტუმნის მცხოვრებ მაჰმადიანზე.

✦ ვისაც **ხელოსნობის ოსტატის სახელი** უნდა მიიღოს, ჯერ ამქრის უსტაბაშის მოწმობა უნდა მიიტანოს, იმის დასამტკიცებლად, რომ ხელობა შესწავლილი აქვს, და მერე სახელოსნო გამგეობა ამ მოწმობის ქალით ოსტატობის მოწმობასაც აძლევს, ეგრედ წოდებულს ატესტატს. თურმე ხშირად ისეც მოხდება, რომ მოწმობას სრულებით უცოდინარსაც აძლევენ, ამიტომ ტფილისის ხელოსანთა მოურავს გუბერნატორისათვის უთხოვნია, ნება მოგვეცით ყველა ამქრების უსტაბაშებისაგან კომისია შევადგინოთ და ამათ გამოსცადონ ხელოსნობის ცოდნაში ყველა ის, ვისაც ამის მოწმობა უნდა მიიღოს.

✦ ქალაქის გამგეობაში **მდაბალი მოსამსახურენიც მორიგეობდნენ** აქამომდე, რომ მიმსვლელისათვის საჭირო ცნობები მი წოდათ. გამგეობას მოუხერხებლად უცვნია ასეთი წესი, რადგან მოსამსახურენი საქმეს ცდებიანო. სამაგიეროდ ორი ისეთის მოსამსახურის დანიშნვა უნდა, რომელნიც განსაკუთრებით ამ საქმეზე იქმნებიან მიჩენილინ. ამისათვის ცალკე ხარჯის გადადებას სთხოვს გამგეობა საბჭოს, მანამდე-კი ამის ასრულება რეგისტრატორსა და იმისს თანაშემწეს მიანდო გამგეობამ

✦ მეშჩანთა გამგეობამ მოიწვია **ხარჯების ამკრებთა კანდიდატები** სამსახურის ასრულებისათვის, მაგრამ ამათგან უფრო მეტს უარი განუცხადებია სამსახურისა, რადგან დანამდვილებით გამგეობას არა აქვს ნაანგარიშევი, რამდენი ვის უნდა გადახდეს; უამისოდკი ძნელია გადასახადების სიმართლით აკრებაო.

✦ ღორის ხორცზე საბჭოს მიერ მიღებული ნიხრი გუბერნატორმა დაამტკიცა და დღევანდელ დღიდან ძალაში შედის. როგორც ამას წინად მოყვანილი გვქონდა, 1-ლ ხარისხის ღორის ხორცი გირვანქა 11 კაპ. ღირს, მე-2 ხარისხისა—10 კაპ. და მე-3-სი—8 კაპ·

✦ ავლაბრის და კუკიის **სამთვარი ადგილები იჯარით აღარ გაიცემა**, რადგან ამ დღეებში ვაჭრობა იყო ამ ადგილების გასაცემად დანიშნული და მსურველთ ცოტა ფასი შეაძლიეს ქალაქს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, თვითონ აწარმოვოს ეს საქმე.

✦ ღამის **თავ-შესაფარებში ღარიბთათვის** ჩაი-შაქრისა და პურის დასარიგებლად თავშესაფართა გამგე კომისიას 15 თუმანი გადაუდვია.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „ზრდილობა, ცხოვრების ცოდნა, მართებულად ქცევის წესები“, ფრანგულიდან ნათარგმნი კნ. ნინო ვაჩნაძის მიერ; გამოცემულია მათე ნიკოლაძის წიგნის მაღაზიის მიერ. ღირს წიგნაკი სამ შაურად.

✦ გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ის გუშინდელ ნომერში ტეხნიკოსის ფ. ფ. გვადნის წერილია მოთავსებული ყვირილიდან, იქაურის თეატრის აშენებელ-მოიჯარადრეს, სიდ. ცერცვაძის, წინაადმდეგ, რომელიც ჩემთვის შეურაცხმყოფელ ხმებს ავრცელებს ამ თეატრის კედლების დახეთქის გამო. მერე მოგვითხრობს, ყვირილაში ამხანაგობა შესდგა, ოთხას-ხუთასი თუმანი ფული შეაგროვეს; ყველა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა ამ კეთილ საქმეს და მეც უსასყიდლოდ თეატრის პლანი შევადგინე და მუშაობის დროს ზედამხედველობაც მივიღე, მაგრამ მოიჯარადრემ, ბ-ნმა ცერცვაძემ, ჩემი რჩევა-დარიგება ამ თეატრის აგების დროს არ მიიღოო. ბოლოს ასე ათავებს თავისს წერილს ფ. გვადნი: „სხვათა შორის მე ვუჩვენე, რომ არშინ-ნახევრიანი საძირკველი არ კმარა, აგურები ცუდად არის გაბმული და საშიშია, კედლები თუ ერთ დროს არ აშენდა, მაგრამ ყველა ესენი ბ-ნმა ცერცვაძემ უყურადღებოდ დასტოვა. ამას შედეგი ის იყო,

---

წოდებისა, რომელიც თავის ოფლით, ოფლით კი არა, სისხლით ასაზრდოებდა მთელს საქართველოს მრავალის საუკუნის განმავლობაში!

თვით მეშჩერსკის არასოდეს არ დაუწერია მსგავსი წერილები! თამამად შეუძლიათ სთქვან ზოგიერთს დღევანდელს მოღვაწეებს: რამდენისამე თვის განმავლობაში ჩვენ მოვიქმედეთ ის, რაც არ გაკეთებულა მთელის ნახევარის საუკუნის განმავლობაშიო!

ბ. ტფილისელის წერილი ჭეშმარიტად ისტორიული წერილია; ჩვენის ცხოვრების მკვლევარი არა ერთხელ მოიხსენიებს ამ წერილს.

მე თუმცა თავად-აზნაურობის შესახებ ვსწერო, გვანუგეშებს თავში ბ. ტფილისელი: მაგრამ სრულებით არა ვარ პრივილეგიების დამცველიო. მხოლოდ ამის შემდეგ უცბად კულტურის სხვა და სხვაობაზე ჩამოგვიგდებს ლაპარაკს: „ზანგები ჩვენში თითით საჩვენებელნი არიან და მახინჯად მიგვაჩნია, მაგრამ თავიანთ ქვეყანაში-კი ბევრს მათგანს არა ერთის ზანგის ქალის გული აუძგერებიათ სიყვარულით“, ინგლისელები ბაყაყს და ლოკოკინას მიირთმევენ, ჩინელები ხვლიკს და თაგვს. „ამგვარადვე შესადარებელი არ არის ჩვენი და განათლებულ ქვეყნების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობაო.“

ასეთის მაგალითებით გვიმტკიცებს ბ. ტფილისელი ევროპის ცხოვრების უვარგისობას ჩვენთვის. ალბად, ეგეც იმ აზრისაა, რომ ევროპის ცხოვრება მარტო მაშინ გამოდგება ჩვენს ქვეყანაში, თუ წინ-და-წინ მოვწალავთ!

ამ შესავალის შემდეგ, რომელიც ცხად ჰყოფს, თუ რა სწყურია ბ. ტფილისელს (თუ განათლებული ინგლისელები ბაყაყს მიირთმევენ, ჩვენ რად არ უნდა ვაქებდეთ თავად-აზნაურობასო, უნდა სთქვას ალეგორიულად ბ. ტფილისელმა), ამ შესავალის შემდეგ ჩვენი ავტორი პირდაპირ გადადის თავის წერილის უმთავრეს საგანზე: ეს საგანია—ის, რომ როგორც წარსულში ვერ ჩაინერგა ჩვენმა გლეხკაცობამ გულში ეროვნული გრძნობა, „ისე დღეს სამშობლოსადმი სიყვარულით არ ულვივის მას გული და ამ დიდებულის გრძნობით არ არის გამხნევებული და აღფრთოვანებული.“

ცოტა პოეტიურად კი არის ნათქვამი, მაგრამ ვაი, რომ ტყუილს ვერავითარი პოეზია ვერ გაალამაზებს და მით უმეტეს ბ. ტფილისელის!

მერე რითი მტკიცდება, რომ გლეხები არ არიან პატრიოტები? და რომ გლეხები პატრიოტები იყვნენ, მაშინ არ იქნებოდა ჩვენში არც ეკონომიური დაქვეითება, არც ჩამორჩენა, არც ურთი-ერთ შორის განხეთქილება და ათასგვარი სისაძაგლე!

მაგრამ რომ არ არიან გლეხები პატრიოტები? არ არიან, რადგან მეტის-მეტად უყვართ ის მხარე და სოფელი, სადაც დაიბადნენ და არავითარი წარმოდგენა არა აქვთ საერთო სამშობლოს—საქართველოს შესახებ. მთელი ქვეყანა ამოძრავდა, ყველა ჯურის ხალხი ჩვენ დაგვერია, ჩვენ კი არ ვიძვრით, სულ ერთს ადგილას ვცხოვრობთ: გურულები მხოლოდ გურიაში, მეგრელები მხოლოდ სამეგრელოში, კახელები მხოლოდ კახეთში და სხვ. აბა ჰკითხეთ რომელსამე რუსს, ან თათარს ან სომეხს, ვინ არის, გვეუბნება ბ. ტფილისელი: არც ერთი არ გიპასუხებს, რომ ნოვგოროდელი ვარ, ან მოსკოველი, ან ერევნელიო. ჩვენს გლეხ-კაცს რომ ჰკითხოთ: ვინ არის, მაშინათვე გიპასუხებთ: იმერელი, გურულიო!

მართალია ყველა ეს ბრალდება? ბ. ტფილისელს არა სცოდნია ის აშკარა მოვლენა, რომ მაგალ. ბათუმი შეიქმნა ქართველ ქალაქად ამ უკანასნკელ წლებში, როდესაც ბევრი დაბინავდა იქ ჩვენის სხვა-და-სხვა კუთხის სოფლებიდან, რომ შავის-ზღვის პირად ბევრი ქართული ახალშენია, რომ სოხუმი, ოჩამჩირე ახლად გადასახლებულის იმერლებისა და მეგრელებით არის დასახლებული, რომ რაჭველები მთელის ოჯახობით გადადიან დასასახლებლად ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ საზოგადოდ მთელის იმერეთიდან გარბიან სოფლელები ქალაქში და ბევრი იმათგანი რჩება იქ სამუდამოდ, რომ ტფილისში შედარებით ძლიერ იმატა ქართველების რიცხვმა სოფლებიდან ჩამოსულების შემწეობით! ბ. ტფილისელს არა სცოდნია ის უბრალო კანონი, რომ თუ სოფლელები რჩებიან თავის სოფელში, ან მოდიან სხვაგან, არა იმიტომ, რომ ნაკლები ან მეტი პატრიოტული გრძნობა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ეკონომიური პირობები აიძულებენ მათ სხვაგან ეძიონ ის ადამიანური ცხოვრება, რომელიც ვერ მოუპოვებიათ თავის სოფელში.

მოსკოველი ან ნოვგოროდელი რუსის გლეხი იტყვის მე რუსი ვარო? პირ-იქით, პირ-იქით, ბ. ტფილისელო! ნოვგოროდელი გლეხი უფრო გეტყვით: მე ნოვგოროდელი ვარ, ან მართლ-მადიდებელიო. იშვიათად იტყვის: მე რუსი ვარო. ჩვენს გლეხს გაცილებით უფრო შეგნებული აქვს თავისი ეროვნება, რაიც ადვილი გასაგებია, რადგან ჩვენს გლეხს მრავალ ერიან კავკასიაში ბევრს სხვა-და-სხვა რჯულის კაცთან აქვს შეტაკება და და როდესაც ბევრს სხვა-და-სხვა გვარ პირთან გაქვს ურთიერთობა, მაშინ უფრო აშკარად წარმოდგენილი გაქვს შენი ვინაობა. ჩვენი გლეხი, მართალია, გეტყვის: მე გურული ვარ, ან იმერელიო. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ქართულ ენას ლაპარაკობს, იმგვარივე ქართველია, როგორც ქართლელი, გინდ კახელი. მართალია ეროვნული იდეა მისთვის ისე ნათელი არ არის, როგორც განვითარებულ პირისათვის, მაგრამ განა ბრეტონელ გლეხებს, ან ბავარელებს არ დარჩენიათ დღესაც მიდრეკილება თავის განსაკუთრებულობისადმი და დიდს სამშობლოსთან—საფრანგეთსა და გერმანიასთან ერთად არ უყვართ თავისი პატარა „სამშობლოც“?

როგორც მოვიხსენიეთ ზემოდ, ბ. ტფილისელის აზრით, ჩვენი გლეხობა მოკლებული იყო ეროვნულ გრძნობას წარსულშიაც. გლეხები მუდამ ცდილობდნენ განცალკევე-

რომ კედლები დასკდა. ამიტომ უმართებულოდ მიმაჩნია, რომ შენობის უვარგისობის ბრალი მე მომახვიონ თავს“.

რუსეთის ქრონიკა

◆ 12 დეკემბერს პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა სატარიფო კრება.

◆ ქალ. სამარაში ამას წინად კრება ჰქონდა ადგილობრივ ნოქართა საზოგადოებას. კრებას უნდა განეხილა საქმე კვირაუქმეობით შესვენების შესახებ. ეს საქმე აღძრა ფინანსთა სამინისტრომ, რომელიც საბირჟო კომიტეტებს შეეკითხა და მოსთხოვა თავიანთი აზრი. სამარას საბირჟო კომიტეტმა თავისს მხრივ ნოქართა საზოგადოებას მიჰმართა. ამ საგანმა ნოქართა კრებაზე ცხარე კამათი გამოიწვია. ერთხმად აღნიშნა კრებამ ნოქართა არა ნორმალური მდგომარეობა და საჭიროება ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისა. კრებამ დაადგინა: 1) სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში შემოღებულ იქმნას 12 საათის მუშაობა; 2) ამ 12 საათში სადილის დროც უნდა ჩაითვალოს—ორი საათი; სადილის დრო ყველგან ერთნაირად უნდა დაწესდეს და ამ დროს მუშაობა სასტიკად უნდა აიკრძალოს; 3) 12 დიდ უქმეში, აღდგომის ოთხ დღეს, შობის ორ დღეს, სულის წმინდის მოფენის დღეს, 1 იანვარს,სამეფო დღესასწაულებში, 19 თებერვალს (გლეხთა განთავისუფლების დღეს), 12 თებერვალს (ადგილობრივ დღესასწაულს,)—ამ დღეებში მთელის დღით დაიკეტოს ყოველგვარი დაწესებულება: სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, ბანკები, კანტორები, სასმელის დუქნები; 4) სასურველია, რომ ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილი საზოგადო კანონ-დებულებაში იქმნას შეტანილი.

◆ „ვარშავის დნევ.“-ს სიტყვით, პეტროკოვის ოლქის სასამართლომ 7 დეკემბერს ქალ. ჩენსტოხოვში უნდა განიხილოს საქმე იმ უწესოებათა შესახებ, რომელიც ჩენსტოხოვში მოხდა 29 აგვისტოს. ბრალი ედება 75 კაცს. მოწმედ ბრალმდებელის მხრივ დაბარებულია 88 კაცი, ბრალდებულთა თხოვნით—120 კაცი.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.

29 ნოემბერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებამ, თავ. ჰ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, განაგრძო სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად პროგრამის განხილვა. სხდომის დაწყებისთანავე კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფეხზედ ადგომით პატივისცა ახლად გარდაცვალებულ საპატიო წევრის სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის იგ. ი. ტიხევის სახელს და გარდასწყვიტა სამძიმარი გამოეცხადოს იმის სახლობას.

შემდეგ წევრმა ჟუკოვმა კრებას განსახილველად წარუდგინა მოხსენება იმ უბინადრო ხალხთა შესახებ, რომელთა უმთავრეს სახსარსა შეადგენს შინაურ პირუტყვის მოშენება და ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლა პირუტყვისათვის საძოვარ ადგილების შესარჩევად. ასეთი ხალხები მომხსენებელმა გაჰყო ორ ნაწილად: ერთს ისინი შეადგენენ, რომელთაც არავითარი ბინადრობა არ აქვთ, ხოლო მეორეს—რომელთაც ზამთრობით ერთი ადგილი აქვთ ამორჩეული, ზაფხულობით მეორე. მომხსენებელმა მოიყვანა მთავრობის მიერ ამ 19 წლის წინად გამოცემული კანონი, რომელიც საშუალებას აძლევს შეღავათიანის პირობებით ისარგებლონ საბალახოებით, წყლით და ტყით. ყურადღება მიაქცია აგრეთვე როგორც გამოცემულ წესის სუსტ მხარეს, ისე ცხოვრების ზოგიერთ პირობებს, რომელთა მეოხებითაც მეჯოგენი შევიწროებულნი არიან; ასე, მაგ. ჭირიანობის დროს. დიდად ავიწროებს იმათ ბეითალთა ზომები. ხშირად ერთი საეჭვო ავადმყოფობა საკმაოა ბეითლებისათვის, რომ რამდენიმე ასი სული საქონელი გასწყვიტონ, რათა ჭირი არ გავრცელდეს. დღევანდლამდე ჭირთან ერთად-ერთი საბრძოლველი საშუალება საქონლის გაჟლეტაა. მართალია, მეცნიერთა მიერ გამოგონილი საშუალება—აცრა ჭირისა—უებრადაა მიჩნეული, მაგრამ დღევანდლამდე ამ მხრით საქმეს არა ეშველა რა. დასასრულ მომხსენებელმა სთქვა, რომ საზოგადოებამ უნდა იკისროს ამ საქმის შესახებ მთავრობის მიერ გამოცემულ წესების გადათვალიერება და შესაფერი შუამდგომლობის აღძვრა წესდების იმ მუხლების შესაცვლელად, რომელთა გამო აღნიშნულ ხალხების მდგომარეობა ფერხდება.

ა. ა. ქალანთარმა ვრცელ სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ ჭირის აცრა სახელმწიფო საშუალებად უნდა იქნას აღიარებული. ამას გარდა სასურველია, აღნიშნულ ხალხთა შინაურ საქმეებში არ ჩაერიოს არც მთავრობა და არც სხვა ვინმე; დასასრულ ამორჩეულ უნდა იქმნას კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს გადათვალიერება, მომხსენებლის წინადადების თანახმად, მთავრობის მიერ გამოცემულ წესებისა.

ბ-ნი ქადაგიძე. ბ-ნ ჟუკოვის მოხსენების გამო მე შევეხები ფშავ-ხევსურეთის მეცხვარეების მდგომარეობას. მეტად შევიწროებულნი არიან ფშავ-ხევსურეთის მეცხვარენი საძოვრებისათვის. ერთის ადგილიდან მეორესაკენ გამგზავრების დროს ხშირად მოხელენი ფარას ერთს ადგილას აჩერებენ გასასინჯავად რამდენსამე დღეს და კვირასაც. ასე. ხდება მაშინაც, როდესაც ავადმყოფობის მხრით საეჭვო არაფერია. ამ გაჩერების დროს ადგილის დაჭერისათვის ფარის პატრონებს ახდევინებენ 100 და 200 მანეთს. ეს კიდევ არაფერია: ხშირად მოხელეთა თვითნებობის გამო შეჩერებული ფარა უსაჭმელოდ რჩება, რის გამო ბევრი პირუტყვი იხოცება. მომხსენებელმა აქ აღნიშნა, რომ 1884 წლის წესდების ძალით მეცხვარეებს საბალახოები კარგის პირობებით ეძლევათ. ეს სამართლეს მოკლებულია. განა იმავე კანონის ძალით არ იყო, რომ ამას წინად ბ-მა ბეგმა თუშელ მეცხვარეებს 5,000 დესიატინა საძოვარი ადგილი ჩამოართვა, სადაც 40,000-ზე მეტი ცხვარი იკვებებოდა? აღნიშნულ გარემოებათა გარდა მეცხვარენი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩარჩ ვაჭრებისაგან, რომელნიც საძოვარი ადგილებს სახელმწიფოსა თუ კერძო მემამულეთაგან იჯარით იღებენ და მეცხვარეებს ერთიორად მეტს ახდევინებენ. ტყის მცველნიც აძვირებენ და თავიანთ-ნებაზე ადებენ ფასებს საძოვარ ადგილებს. საჭიროა ამ მოხსენებას მეტი ყურადღება მიექცეს; საჭიროა გაუმჯობესდეს მეჯოგე-მეცხვარეთა მდგომარეობა, რადგანაც დღევანდელი შემავიწროებელ გარემოებათა გამო ისინი თანდათან ხელს იღებენ საქმეზე.

კარგა ხანს კამათის შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა: ეს მოხსენება იმდენად რთულია, რომ საქმის დაწვრილებით შესწავლაა საჭირო. ამიტომ მივანდოთ იმისი ვრცლად შემუშავება და საჭირო ცნობების შეკრება განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც საბჭოსთან ერთად შეადგინოს მოხსენება და წარმოგვიდგინოს. კრება დასთანხმდა და აღნიშნულ საქმისათვის ამოარჩია კომისია შემდეგ პირთაგან: ა. ა. ქალანთარისა, თ. დ. გ. ჯანდიერისა, ვაგრიშვილისა, ქადაგიძისა, ჟუკოვისა და ბეითალ კანცელმახერისაგან. კომისიამ მინდობილება ერთს თვეში უნდა შეასრულოს.

(შემდეგი იქნება)

თეატრი

დღეს, 1 დეკემბერს, ქართულ თეატრში გაიმართება **იაფ-ფასიანი წარმოდგენა**. დანიშნულია წარმოსადგენად აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“ და ვოდევილი „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია.“ მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

თელავი. ამ ბოლოს დროს, როგორც ზაფხულში, ისევ მოუხშირეს წარმოდგენების მართვას. წარმოდგენები იმართება კლუბსა და სომეხთა თეატრში ისევ ისე, როგორც წინად. ქ. ი. ზედი-ზედ. 23 ნოემბერს სომეხთა თეატრში წარმოადგინეს სუნდუკიანცის პიესა „პეპო“; მეორე დღეს 24-ს კლუბში იყო წარმოდგენა, ხოლო სწორზე, 1 დეკემბერს, —კიდევ წარმოადგენენ კლუბში ბიბლიოთეკის სასარგებლოდ „ცის სარტყელს“. ყველა ამ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებენ სხვა-და-სხვა სცენის-მოყვარენი.

კვირას, 24 ნოემბერს, საკრებულო დარბაზში მ. აჯიამამულოვის თაოსნობით გაიმართება სალიტერატურო და საცეკვაო საღამო ცოცხალის სურათებით. აჩვენეს სულ 5 სურათი: „შეუყვარებული დემონი და მტირალი ანგელოზა“, „სიყვარული, სარწმუნოება და იმედი“, დედოფალ შუშანიკის განდევნა, ლოცვა და სიკვდილი. ყველა ესენი ხელოვნურად აჩვენეს და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა. ნამეტნავად კარგი სანახავი იყო დედ. შუშანიკის ლოცვა და სიკვდილი. საუბედუროდ, სურათების ჩვენების დროს გაფუჭდა სცენის ფარდა და, ცოტა არ იყოს, ხელი შეუშალა. ამასთან არც აკაკის ლექსი წაიკითხეს, თუმცა აფიშაში იყო გამოცხადებული.

შემდეგ წარმოადგინეს ორი ვოდევილი რუსულად „Мужъ и жена“ და ქართულად „დოქტორ თათეოზ“-ა. რუსული პიესა ვერ არის სანუკარი და საზოგადოებაზედაც ვერაფერი შთაბეჭდილება იქონია; მომეტებული ნაწილი სომხობა დაესწრო ამ წარმოდგენას, ამათ შორის კი ბევრს არ ესმოდა რუსული ენა. რუსული პიესა ამ საღამოს სრულებით მეტი იყო.

ქართულმა პიესამ „დოქტორ თათეოზ“-მა გაამხიარულა საზოგადოება. ამ საღამოს საზოგადოების ყურადღება მიიქცია ქ-ნ შ. იარალოვისამ, რომელიც მოსამსახურე ქალის როლს ასრულებდა. „თათეოზა“ ექიმის მოსამსახურეს როლი ბ-ნ აჯიამამულოვმა კარგად შეასრულა. ტერ-არუთინოვს დერეცკის როლში არა უჭირდა-რა. დანარჩენი მოთამაშენი ძლიერ სუსტობდნენ.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა.

დიმიტრაშვილი

◆ დღეს, 1 დეკემბერს, ავლაბრის სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იქმნება მესამე იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება ა. ცაგარლის 4 მოქ. კომედია „ცამბირელი“. დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე.

ბიბლიოგრაფია

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

„მეოცე საუკუნეო, ამბობს ერთი ინგლისელი მწერალი ქალი, ბავშვის საუკუნე იქნება, ისე როგორც მეცხრამეტე ქალის საუკუნე იყოო: როგორც მეცხრამეტე საუკუნეში იცნეს ქალის ადამიანური უფლება, ისე ეხლა ბავშვის ადამინური უფლებაც უნდა იცნონო“. და პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, დედამ უნდა იცნოს თავის ბავშვის ადამიანობა. ალ. ნათაძის პედაგოგიური წერილები დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენებურ დედას ბავშვის აღზრდის საქმეში. „ჩვენს დედებს“ ისეთი იშვიათი წიგნია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საღ პედაგოგიურ აზრებს აცნობს და ათვისებს ჩვენებურ მშობლებს, საუბედუროდ, მეტად უვიცთ ამისთანა კითხვებში. წიგნი მარტივ, ადვილად გასაგებ ენით არის დაწერილი, მისი გაგება არავის არ გაუჭირდება; თან ისე არის შედგენილი, რომ დიდის ინტერესით იკითხება.

სასურველი და მეტად საჭიროა, რომ ეს ფრიად სასარგებლო წიგნი, რაც შეიძლება მეტი გავრცელდეს ჩვენს ოჯახებში. ბევრ დედას ჰკუას ასწავლის და ხელმძღვანელობას გაუწევს ბავშვის აღზრდის დიდ და ძნელ საქმეში.

წერილი ქიზიყიდან

კიდევ ქურდობა.—ღორის პირი

„ისევ ქიზიყი და ისევ შორეული თავისს ქურდბაცაცებითაო, იტყვის მკითხველი, თავი მოგვაბე-

---

ბას, არ უნდოდათ ერთს ენაზე ლაპარაკი, ერთად ცხოვრებაო.

ბ. ტფილისელს, რომ ისტორია ცოტათი მაინც სცოდნოდა, ამასაც ვერ იტყოდა. რომელისამე ერის რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ დანაწილება ყოველთვის გამოუწვევია ადგილის გეოგრაფიულს ვითარებას, გარეშე მტრების მდგომარეობას, ერთის ძლიერის მმართველობის უქონლობას, ფეოდალების განვითარებას. ასე იყო, მაგ. გერმანიაში,ასე იყო ჩვენშიც. თანაც ვკითხოთ ბ. ტფილისელს—გურულები, იმერლები, ქართლ-კახელები ხომ ერთს ენაზე (ერთის კილოთი) ლაპარაკობდენ და რატომ არ ცხოვრობდენ ერთად, რად არ შეადგენდნენ ერთს სამეფოს?

თუ ჩვენს გლეხებს ეროვნების წინააღმდეგი მიმართულება ჰქონდათ, სამაგიეროდ ჩვენში იყოო, ამბობს ბ. ტფილისელი: ერთი ძალა, თავად-აზნაურობა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა გლეხების მისწრაფებას და რომელმაც შეჰქმნა ეროვნული ერთობა, ენა, კულტურა და ისტორია.

აქაც იგივე სრული უკუგდება ისტორიულის ფაქტებისა. რისთვის? ბ. ტფილისელს უნდა დაგვიმტკიცოს ახალი თეორია, რომ ქართველებმა ყოველი მოვლენა სხვა ნაირად უნდა გავიგოთ, ვიდრე ნამდვილად არის? აბას ხომ ბაყაყის და ლოკოკინას ჰამა ჯობია ათ წილ, ბ. ტფილისელო! გლეხები-კი არა, მუდამ ფეოდალები, თავად-აზნაურები უწევდენ წინააღმდეგობას მეფეებს გაერთიანების საქმეში; ისინი არ ემორჩილებოდენ თვით თამარ მეფესაც! დამონებულ გლეხებს სად შესწევდათ იმდენი ძალა (სურვილი რომ ქონოდათ მაინც), რომ წინააღმდეგობა გაეწიათ თავად-აზნაურებისათვის?..

ჩვენი თავად-აზნაურები მუდამ ეროვნულ ერთობასა და კეთილდღეობაზე ზრუნავდენო, მაგ. მეგრელი გლეხი მეგრულად ლაპარაკობდა, მეგრელის თავადის და აზნაურის ენა-კი ქართული იყოო.

ჩავიხედოთ ისტორიაში, მართლა ასეთი პატრიოტები იყვნენ ჩვენი თავად-აზნაურები? არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც მე-XVII საუკუნეში იმოგზაურა სამეგრელოში, მრავალ ალაგას აგვიწერს, თუ როგორ გახშირებული იყო სამეგრელოში ყმების გაყიდვა ოსმალებზე და ერთს ალაგას მოგვითხრობს შესანიშნავს ამბავს (სამეგრელოს აღწერა, გვ. 170): ერთმა თავადმა ჭილაძემ მოინდომა 10—12 ტყვეს გაყიდვა, მაგრამ მისმა ყმებმა წინდაწინვე გაიგეს მისი სურვილი და ტყეში გაიქცენ; მაშინ თავადმა ეშმაკობა იხმარა: მღვდლები მოიწვია თავის ეკკლესიაში, მოდით ამა და ამ დღეს, სწირეთ და მდიდრულად დაგასაჩუქრებთო. მეორე დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა, სწირეს, მაგრამ დაჯილდოების მაგიერ თავადმა ყველა ჯაჭვებით შებორკა და დაუყონებლივ ოსმალებს მიჰყიდა.

ერთი პატერი მოგვითხრობს ტფილისის შესახებ (მე-17 ს.): „უმანკო ბავშვებს, თუ ვაჟებს, თუ ქალებს სავაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა. გვესმის და ვხედავთ მათ ტირილს: ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმა აღარ იყიდონ. ეს საზიზღარი ჩვეულება იმიტომ გავრცელდა ასე ადვილად, რომ ბატონები ულმრთონი და მრავალნი არიან, რადგან საქართველო სავსეა თავადებით (თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა“, გვ. 249).

სრულიად გასაკვირელი არ არის ასეთი ამბები. ცხოვრების კანონები ერთია ყველგან: ყმებს ყიდდენ თავად-აზნაურები ევროპაშიც, ყიდდენ ჩვენშიაც. მაგრამ რად განუზრახავს ბ. ტფილისელს აშკარა და ცნობილის ფაქტების გადამახინჯება, რად უნდა წარმოგვიდგინოს ჩვენი თავად-აზნაურები იდეალურ პირებად, თავ-გამოდებულ პატრიოტებად? რად სწერს ასეთ მიუტოვებელს ტყუილს, რომ რაც რამ კარგი ყოფილა და არის საქართველოში, ყველაფერი თავად-აზნაურობის გაკეთებულია, გლეხებს კი ვნების მეტი არაფერი მოუტანია ჩვენის ქვეყნისათვის?..

გლეხ კაცს მრავალ საუკუნოების განმავლობაში წართმეული ჰქონდა პატივი, სიყვარული, ღირსება, პიროვნება, შრომა, სიცოცხლე. მისის მკლავით, ოფლით და სისხლით ცხოვრობდა მეფე, თავადი, აზნაური, მღვდელი, მოხელე, პოეტი, მხატვარი და მეცნიერი, და ეხლა ბ. ტფილისელი გამომდგარა და უყვირის გლეხებს: თქვენ დაღუპეთ ჩვენი ქვეყანაო!..

ამაზე მეტი სამწუხარო მოვლენა-ღა იქნება? ნუ თუ ესეც თავისებური პატრიოტობაა?

* *

უადგილობისა გამო აქ ვათავებ ბ. ტფილისელზე ლაპარაკს, თუმცა კიდევ ბევრის რისამე თქმა შეიძლებოდა მისის წერილის შესახებ.

წარსულ კვირას ჩემს ფელეტონში მოვათავსე „ნამდვილის მეგობრის“ წერილი ეროვნების შესახებ. ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ არც ფელეტონის ავტორს და არც რედაქციას საერთოდ არავითარი კავშირი და საერთო არა აქვს „ნამდვილ მეგობართან“. მე დავბეჭდე ის წერილი იმიტომ, რომ საზოგადოების ყურადღება მიმექცია მისის საგნისათვის, რადგან „ნამდვილ მეგობრისთანა“ მსგავსი აზრები, საუბედუროდ, ერთსა და ორს არა აქვს ჩვენში. განა ბ. ტფილისელის წერილის შემდეგ ვისმე უნდა გაუკვირდეს ბ. „ნამდვილი მეგობრის“ წერილი?

„ნამდვილი მეგობრის“ წერილის დაბეჭდვას თავისი მიზანი ჰქონდა. ამ მიზანს მივაღწიე: საზოგადოებაში პროტესტი ისმის „ნამდვილ მეგობრის“ წინააღმდეგ. სხვათა შორის მე ხელში მაქვს ორი სხვა-და-სხვა პირისაგან გამოგზავნილი წერილი ამ საგნის შესახებ.

შემდეგ ამ წერილებსაც დავბეჭდავ და საკუთარს აზრსაც გამოვსთქვამ, რამდენადაც გარემოება ნებას მომცემს.

ხიფუვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრათ. მართალი გახლავთ, ცოტა თავი შეგაბეზრეთ, მაგრამ ეხლა ჩვენ გარემოებამაც შედით— თავი მოგვაბეზრეს კი არა, სულ ქონებიდან ცარიელი დაგვსვეს ბოროტმა კაცებმა. ჩვენ მარტო საგანგებოს რასმეს აღვნიშნავთ ხოლმე, თორემ ყველა ბოროტ-მოქმედების აღნუსხვა, თქვენი პატივისცემაც რომ არა გვქონდეს, აბა სად შეგვიძლიან. ავიღოთ აი ახალ-ახალი ამბები. სოფელ გურჯაანში ამას წინად გაძარცვეს მთავარ-ანგელოზის ეკკლესია. ეკკლესიის კლიტე გაუტეხიათ შუადამისას, შესულან შიგ და წაუღიათ ბარძიმფეშხუმი, სანაწილე, საზიარებელი კოვზი და სხვა რაც კი რამ ეკკლესიაში მოიპოვებოდა და რასაც ორი გროშის ფასი მაინც ედო, სულ 150 მანეთისა. კვლავაც მომხდარა ეკკლესიის გაქურდვა, მაგრამ წაუღიათ უფრო ფული და ასე ერთბაშად კი არ გაუტიტვლებიათ ეკკლესია, როგორც ახლა. ახლანდელ ჩვენს ეკკლესიებს განა აბადიათ და რამე? ეკკლესიის მთელი ავლა-დიდება 150 მან. უღირდა და ეს კიდევ ბევრიც არის: სხვაგან ამდენისაც არა არის რა.

მაგრამ რადა ეკკლესიები, მათხოვარა დედაბრის სახლსაც აღარ სტოვებენ გაუძარცვავ-გაუქურდავს! ამ დღეებში სოფელ ანაგას ერთი ეულად შეუფერებელი და შეუწყნარებელი ქურდობა მოხდა, რომელიც არც გაჭირვებით არის გამოწვეული და არც ვაჟკაცობით. ერთს საცოდავ მათხოვარა მუშა-დედაკაცს, მირიანაშვილისას, სწვევიან დაუპატიჟებელი სტუმარნი და, იცით, რა უპოვიათ სახლში და რა წაუღიათ?—ორი პური, რომელიც იმავე სადამოს მეზობელს მიუცია სარეცხის დარეცხისათვის, რამდენიმე ჩურჩხელა და ერთიც ლეიბი, რომელზედაც ზედა წოლილა. აი, სულ წანაღები. მთელი ეს ავლადიდება კი შეადგენდა თურმე სიმდიდრეს და სიამაყეს ამ დედაბრისას. განა ძნელია ამისთანა ქურდების და თავზედების მიგნება და შეპოჭვა? სულაც არა —მაგრამ ვინ იცხელებს თავს და ვინ სცდილობს მათ გამომჟღავნებას?

ქიზიყს ეხლა ახალი მტერი შემოესია და, რაც სხვამ დააკლო, ის აუთავა. ამ შემოდგომაზე ღორებს რაღაც ჭირი გაუჩნდა და სულ მუსრი გაავლო. დიდი ზარალი მისცა ქიზიყს, ისე დაჰხოცა, დამის სულ აღარავერი შერჩათ. გადურჩა მხოლოდ იმათ, ვისაც ძალიან მსუქანი ღორები ჰყავდათ. რომელი ნადირიც ავადმყოფ ღორის ხორცს სჭამს, ჰიხოცებათ; ძაღლები ხომ ამოწყვიტა. სიღნაღში ცოტაა ეხლა ღორის ხორცი და რაც არის, ისიც რომ არ იყოს, ისა სჯობდა, რადგან ჯერ ყური არავის მიუგდია ამ ჭირისათვის და, შესაძლებელია, ადამიანებსაც გადაედოს ჭირი.

ზორეული

სასამართლო

ხმოსნის ბუდდანოვ-ბალდასაროვის და ირ. ფურცელაძის საქმე.

გუშინ, 30 ნოემბერს, ტფილისის მეორე მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია საყურადღებო საქმე ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნის არშაკ სტეფანის ძის ბუდდანოვ-ბალდასაროვისა, რომელსაც ტფილისის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველი ირაკლი ფურცელაძე უჩივის ცილის დაწამებას. ამა 1902 წლის მარტში ტფილისის საბჭოს ერთ სხდომაზე ხმოსანმა ბუდდანოვ-ბალდასაროვმა განაცხადა: მე შევიტყე, რომ ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეებს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს, ირაკლი ფურცელაძეს ქალაქის საკუთარი ადგილი მიუთვისებია და ვსთხოვ გამგეობას საბჭოს წარმოუდგინოს ცნობები, რამდენად მართალია ეს ამბავიო. 1 აპრილს ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოურავის მოადგილემ მ. ს. შესტაქოვმა წარუდგინა საბჭოს ხმოსან ბუდდანოვ-ბალდასაროვის განცხადების შესახებ ცნობები, საიდგანაც სჩანდა, რომ აღნიშნული ადგილი მითვისებულია 22 წლის წინად, ხოლო ფურცელაძე სამსახურში 1897 წლის ნახევრიდან ირიცხება. ამაზე ბუდდანოვ-ბალდასაროვმა განაცხადა, ქალაქის გამგეობას უნდა, რომ დაჰფაროს თავისი მოხელე ფურცელაძე და საქმეში ჩაატანოს იმისი მეუღლე მელანია ფურცელაძისა. მე ხელთა მაქვს ისეთი შეურყეველი საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ ფურცელაძემ, როგორც სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა, ისარგებლა თავის მდგომარეობით და დაუსჯელად ხელში ჩაიგდო ქალაქის მოზრდილი მიწა, რომელიც შემდეგ 18,000 მან. გაჰყიდა. აი ასეთ ადგილებს ითვისებენ ქალაქის თვით-მმართველობის მოხელენი და ქალაქის გამგეობა კი არავითარ ყურადღებას არ აქცევსო. ფურცელაძემ საბჭოს სხდომის ოქმში შეტანილი ეს სიტყვები ცილის წამებად მიიღო და მოსამართლეს მიჰმართა საჩივრით. მოსამართლესთან საქმის გარჩევის დაწყებისთანავე ბუდდანოვ-ბალდასაროვის ვექილმა მოითხოვა გადაყენება ფურცელაძის ვექილის ნაფ. ვექილის თანაშემწის გრ. რცხილაძისა იმ მოსაზრებით, რომ ფურცელაძის ვექილობის ქაღალდში დასახელებული არ არის, რა საქმეს ანდობს იგი რცხილაძეს საწარმოებლად და ასეთ რწმუნების ქაღალდებით საქმის წარმოება-კი უმართებულეს სენატის განმარტებით არ შეუძლიანთ ვექილებს. ვექილმა რცხილაძემ განმარტა, რომ ამ განცხადებას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს, რადგანაც ვექილობაში აღნიშნულია რომ ჩემი მარწმუნებელი კერძო თავისს საქმეს მანდობს საწარმოებლად და პირდაპირ დასახელებას არც სენატი ითხოვს თავის განმარტებაშიო. მომრიგებელმა მოსამართლემ არ შეიწყნარა ბუდდანოვ-ბალდასაროვის ვექილის განცხადება და შეუდგა საქმის განხილვას. ვექილმა რცხილაძემ იკითხა: ბალდასაროვ-ბუდდანოვი დამნაშავედ სცნობს თუ არა თავის თავს ფურცელაძეს ცილის დაწამებაში? ბალდასაროვმა სთქვა: სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ მე საბჭოს სხდომის ოქმს შეცდომით მოვაწერე ხელი: წინ და-წინ, ვიდრე ხელს მოვაწერდი, ვერ წავიკითხე ოქმი, რომ გამეგო, ჩემი სიტყვები სიმართლით იყო მოყვანილი თუ არა. შემდეგში რა თქმა უნდა, ამას აღარ გავიმეორებ. საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც ჩემი განცხადებაა მოყვანილი, ჩემი სიტყვები სწორედ არ არის ჩაწერილი; მე განვაცხადე, რომ ადგილის მითვისების ფაქტი ნამდვილია, ხოლო რადგანაც შესაძლებელია მარტო ფურცელაძემ ვერ მოახერხა ადგილის მითვისება, იმან მოიხმარა თავის თანაშემწე გულისშვილიც და ერთად მოახერხეს მიწის მითვისებაო. ხმოსნის ვექილმა ამ განცხადების დასამტკიცებლად წარუდგინა მოსამართლეს გამოძიება ამ საქმის შესახებ და აგრეთვე მოითხოვა, ეკითხოს ქალაქის გამგეობის მდივანს ვეიმანს, მიწის მზომელს მარკოზოვს, შავერდოვს და კონდურალოვს. ფურცელაძის ვექილმა რცხილაძემ თავის მხრით განაცხადა: რადგანაც ბუდდანოვ-ბალდასაროვი აქ სხვას ამბობს და საბჭოს სხდომის ოქმში სხვა არის ნათქვამი, ამიტომ გთხოვთ საქმე გადასდოთ, რომ ჩემის საჩივრის სინამდვილის დასამტკიცებლად წარმოვიდგინოთ პირი ქალაქის საბჭოს 1 აპრილის სხდომის ოქმისაო. მომრიგებელმა მოსამართლემ შეიწყნარა ბ-ნ რცხილაძის განცხადება და საქმე გადასდო სხვა დროისათვის.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ნოემბერი

ვარშავა. როგორც „ვარშავსკი დნევნიკ"-ი იტყობინება, ვარშავაში იხსნება კუკის ფირმის კანტორის განყოფილება ევროპისა, ამერიკისა და მთელის ქვეყნის გარშემო მიმოსვლის მოსაწყობად.

ბერლინი. დეპუტატთა წრეებში ხმა დადის, სატამოჟნო პროექტი მიღებულ იქმნებაო.

ლაგუაირა. დაპატიმრებულნი გერმანელნი და ინგლისელნი გაანთავისუფლეს. ვენეცუელას მთავრობის პასუხი ინგლისსა და გერმანიას 27 ნოემბერს გაეგზავნა. მისი შინაარსი ჯერ არ იციან. სამხედრო მზადებაში არიან.

ლანგუაირა. ვენეცუელას სამი დაპყრობილი სამხედრო გემი ზღვაში ჩანთქეს; ნავსადგურიდან ნაპირზე გამოვიდა 130 გერმანელი მეზღვაური და წავიდა გერმანიის კონსულთან, რომელიც სახლობასთან ერთად ვინეტამდე მიაცილეს. გავიდა კიდევ ნაპირზე 30 ინგლისელი მატროსი და კონსული რეტუბაციონამდე მიაცილეს. გემები შევიდნენ ნავთ-სადგურში. გემებიდან ჯარებმა ნაპირზე გადასვლა დაიწყეს.

ლონდონი. „კელნიშე ცაიტუნგ"-ს პარიზიდან ატყობინებენ: პოლიტიკურს წრეებში დარწმუნებულნი არიან, ვენეცუელას იმედი, რომ საფრანგეთი რამე დახმარებას აღმოუჩენს, სრულიად ამაოა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან** 15 **მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 8 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, **სახირურგიო,** დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—67)

საკვირველება

მე-XX-ე საუკუნისა.

საოცარი და საკვირველი მოვლენა: უხელო კაცი, **სინიორ ბარტონი.** დაიბადა უხელოდ 1880 წ. ქალაქს პალერმოში (იტალიაშია), გაათავა სამხატვრო აკადემია, ამასთან მეცადინეობდა და ჰხატავდა ფეხებით. 10 წუთში გადაიღებს მსურველის სურათს ყველას თვალ წინ. სეანსები ყოველ ნახევარ საათს შემდეგ იქ, სადაც **ლია ხატოხატ წერილების გამოფენაა** ფირმის A la Yille de Paris"-ის საწყობში, გოლოვინის პროსპექტზე, სახაზინო თეატრის პირ-და-პირ. შესვლა ღირს 25 კ. ბავშვები 15 კ. დიდებს ეძლევათ პრემიად 6 ლია წერილი, ბავშვებს 3 წერილი. (4—464—2)

სხვა-და-სხვა ჯგაგილის

საუკეთესო

ო-დე-კოლონი

№ 4711

რეინის თაიგულები

უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის

ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.

(მც. 3.—3)

ზის

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გერის მოედანზე, ყაფანთან

იყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754. (წ.).

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა:

კავკასიასა და რუსეთში:		საზღვარ-გარედ:	
1 წლით . .	10 მ.	1 წლით . .	13 მ.
6 თვით . . .	6 „	6 თვით . . .	7 „
3 „ . . .	3 „	3 „ . . .	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

ორის სურათებიანის დამატებით

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:		საზღვარ-გარედ:	
1 წლით. . .	6 მ.	1 წლით. . .	9 მ.
6 თვით. . .	4 „	6 თვით . . .	5 „
1 „ . . .	75 კ.	1 „ . . .	90 კ.

ვინც **„მოამბეს"** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერასათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:

პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე —5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლებად ღირება.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანკის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели".

მაზოლის მალამო გოლლენდერ

მაზოლი ჰქრება გოლლენდერის მალამოსაგან სრულიად ტკივილის უგრძნობლად. ერთი შუშა ღირს 35 კაპ., 2 შუშა იგზავნება ფოსტით 1 მანათად ი. გოლლენდერის ლაბორატორიიდან, **პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13.**

ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (5—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 30 Ноября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).